

შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“-ის (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოიჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2021 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირის მიერ.

დირექტორი



2021 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ბალანსი	2021 წელი	2020 წელი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	359	54251
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1992714	2296224
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1619400	1811821
სხვა	182171	182170
საინვესტიციო ქონება	11251052	9626377
სხვა მოკლევადიანი აქტივები	26658	152496
სხვა არამატერიალური აქტივები	12733	15916
ძირითადი საშუალებები	203344	239831
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	2000	2000
სულ აქტივები	15290431	14381086
სავაჭრო ვალდებულებები	141012	1070121
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	62653	123319
გამოუმუშავებელი შემოსავალი	21117716	17610652
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	572963	575950
სხვა ვალდებულებები	111304	62851
სულ ვალდებულებები	22005648	19442893
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-6715217	-5061807
სულ საკუთარი კაპიტალი	-6715217	-5061807
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	15290431	14381086

დირექტორი



2021წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2021 წელი
ნეტო ამონაგები	61845
საქონლის გაყიდვიდან	61845
გაყიდვების თვითღირებულება	-24017
საერთო მოგება	37828
სხვა საოპერაციო შემოსავალი	18935
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1052943
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-46576
საპროცენტო შემოსავალი	87666
საპროცენტო ხარჯი	-61469
იჯარის ხარჯი	-154548
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-380888
სულ საოპერაციო ხარჯები	-1589823
საოპერაციო მოგება	-1551995
ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-101415
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1653410
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1653410
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-1653410
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-5061807
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-6715217

დირექტორი



2021 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის ბოლოსთვის საკუთარი კაპიტალი - (5061807)

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი (1653410)

2021 წლის ბოლოსთვის საკუთარი კაპიტალი - (6715217)

დირექტორი



შემდგომ გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისის, საბურთალო, ლვოვის ქ. N 4

შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“ საქმიანობის სფერო არის ძირითად საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების მშენებლობა და რეალიზაცია. იგი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (ნსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანია სესხებით საოპერაციო საქმიანობისთვის აუცილებელი თანხების უზრუნველყოფა ხდება სესხებით, სესხზე დანახარჯი აღირიცხები განსაზღვრული პროცენტის ყოველდღიური დარიცხვით.

მოგების გადასახადი

2020 წელს მოგების გადასახადად დარიცხულია მხოლოდ საგადახადო კოდექსის მიერ განსაზღვრული გადასახადი, რომელიც გამოწვეულია ზოგიერთი ფინანსური ხარჯის საგადასახადოს მიერ არ აღიარებით. რაც შეეხება გადავადებულ გადასახადს, მის სტანდარტებზე გადასვლის თარიღიდან, 2018 წლის 1 იანვარისთვის უკვე მოქმედებდა ესტონური მოდელი რომლის შინაარსიდან გამომდინარე დროებითი სხვაობა აღარ წარმოიშობა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით განაკვეთით 20%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს “ვენა დეველოპმენტ ალიანსი“ არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიაში შიდა კონტროლის მექანიზმების ფარგლებში მოქმედებს მონიტორინგის სამსახური რომლის მოვალეობაში შედის საქონლის ინვენტარიზაცია.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს ძირითადად საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად და თვითღირებულება ყალიბდება პირდაპირი დანახარჯებით

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ფიზიკურ პირებზე და მცირე შემთხვევაში ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან - 61845 ლარი

2. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება

2021 წელი

-24017

პროდუქციის თვითღირებულება

	- 212653
მიწოდების და რეკლამის ხარჯები	
შრომის ანაზღაურება	-1052943
	-154548
საიჯარო ქირა	
საოფისე ხარჯი	-23401
	-41507
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	
ცვეთა და ამორტიზაცია	-46576
ბანკის მომსახურება	-2191
	-101136
სხვა საერთო ხარჯები	

3. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი მოიცავს შემდეგ

2021 წელი

საპროცენტო შემოსავალი	87666
სხვა საოპერაციო შემოსავალი	18935
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-101415
საპროცენტო ხარჯი	-61469

4. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს დებიტორულ დავალიანებას, რომელიც წარმოიქმნა მზა პროდუქციის რეალიზაციით, რომელმაც 2021 წელს შეადგინა 1992714 ლარი.

5. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს კომპანიის მიერ აშენებულ საცხოვრებელ და კომერციულ უძრავ ქონებას, რომელმაც 2021 წელს შეადგინა 11251052 ლარი.

6. სასაქონლო მარაგები

სასაქონლო მარაგები წარმოადგენს სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალებს რომელმაც 2021 წელს შეადგინა 26658 ლარი.

7. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადმა სახსრებმა 2021 წელს შეადგინა 1619400 ლარი.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად, რომელიც 2021 წლის ბოლოსთვის შემდეგნაირად გამოიყურება

	2021 წელი	2020 წელი
მანქანა-დანადგარები	201480	200146
ოფისის აღჭურვილობა	66055	62179
ავეჯი და სხვა ინვენტარი	46360	44665
მანქანა-დანადგარების ცვეთა	(67396)	(43571)
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	(28791)	(15827)
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	(14364)	(7761)

9. არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას და საკუთრების უფლებებს, რომელმაც 2021 წელს შეადგინა 12733 ლარი.

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს მიმდინარე საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ დავალიანებას, რომელმაც 2021 წელს შეადგინა 141012 ლარი.

11. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები მოიცავს მზა პროდუქციის მომდევნო პერიოდში რეალიზაციით შემოსავლად აღიარდება, რომელმაც 2021 წელს შეადგინა 21117716 ლარი.

12. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან სესხებს, რომელმაც 2021 წელს შეადგინა 572963 ლარი.

13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები ფიქსირდება, თუნცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრი ფასებით

14. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

კომპანიასაღებული აქვს გაფართოების სტრატეგია და აქედან გამომდინარე მოითხოვს თანხების დაბანდებას. თანხების მოზიდვა ხდება დამფუძნებლის მხრიდან საწესდებო კაპიტალის გაზრდის მეშვეობით. აგრეთვე დამფუძნებლები გამოთქვას მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვაზე ისევ და ისევ საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2021 წლის 20 სექტემბერს.